



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს,  
წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში  
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

N 01/1393  
13/09/2016

1393-01-2-201609131240



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ქალბატონ თ. ხუფენიას

ქალბატო თეონა,

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის 2014-2021 წლების სტრატეგიული  
განვითარების ხედვა არის 2021 წლისათვის რეგიონი გახდეს ერთ-ერთი ყველაზე  
სწრაფად მზარდი რეგიონი საქართველოში თავისი მდგრადი ეკონომიკითა და  
სოციალური კეთილდღეობით. რეგიონის მახასიათებელი იქნება ძლიერი  
სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სექტორი, დინამიურად განვითარებადი  
მრეწველობა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა, ინოვაციებზე ორიენტირებული  
სამეწარმეო და კვლევითი პროცესები, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი და  
განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის  
რეგიონის შემოსავლებს, არსებულ საწარმოო სიმპლავრებსა და ახალი ბაზრების  
ათვისებას, როგორც წინაპირობას ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისა  
და მოსახლეობის ხანგრძლივი კეთილდღეობისათვის. ხედვის რეალიზაცია  
პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთი ინსტიტუტების გაძლიერების გარეშე,  
როგორცა ჩვენი რეგიონის სინამდვილეში შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც არის რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო  
უმაღლესი სასწავლებელი, სადაც საგანმანათლებლო საქმიანობა წარმართება  
განათლების სახელმწიფო პოლიტიკის, რეგიონის პრიორიტეტების  
გათვალისწინებით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში  
მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტში არსებულ აკადემიური და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად განხორციელდეს „სამართლის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაეხმარება სამეგრელო - ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას, შსს სამეგრელო - ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, შსს საპატრულ პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო - ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს და სხვა შესაბამის უწყებებს კადრების მომზადებაში, არსებული კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. პროგრამის განხორციელება გაზრდის საზღვრისპირა რეგიონის აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისათვის „სამართლის“ სპეციალობის ხელმისაწვდომობას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია მხარს უჭერს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „სამართლის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

პატივისცემით,

დანართი : 2 ფურცელი

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი